

სალომე ომიაძე

აქტუალურ ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა ლექსიკონის შესახებ

ინფორმაციის მოზღვავეების საუკუნეში ამ ინფორმაციის დიდი ნაწილის მიღება-გადაცემა შეუძლებელია ცნება-ტერმინთა გარეშე. ზოგადი საინფორმაციო სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს სამეცნიერო ინფორმაცია შეადგენს, რომლის სტრუქტურირებასა და გავრცელებაში ლინგვისტიკას შეუცვლელი როლი აკისრია, რაც, თავის მხრივ, ლინგვისტიკურ ცნება-ტერმინთა შესწავლისა და სისტემატიზაციის აუცილებლობას მოწმობს არამხოლოდ ენათმეცნიერთა და ენათმეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის. მეორე წელია ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება მუშაობს ამ მიმართულებით და სწორედ მიმდინარე სამუშაოს შუალედური შედეგების გაცნობაა ჩვენი მიზანი.

სალექსიკონო ენობრივ მასალას მოვიპოვეთ სამეცნიერო ტექსტებიდან და დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონებიდან. რაც შეეხება ტერმინთა აქტუალურობის მიხედვით გამორჩევას, მივმართავთ ენათმეცნიერების კონკრეტულ მიმართულებათა საკვანძო ტერმინებს, რომლებიც დარგის ფუნდამენტურ ნაშრომებსა და მათზე დაფუძნებულ თანამედროვე კვლევებში გამოიყენება. სალექსიკონო ერთეულთა შემოსაზღვრის თავისთავად რთულ ამოცანას კიდევ უფრო ართულებს ძველი და ახალი ცოდნის თანაარსებობითა და ზოგჯერ წინააღმდეგობრივობით განპირობებული საკითხები თუ გამოწვეული პრობლემები. ერთ-ერთი მათგანია ტერმინთა ცნებითი მოცულობის გაზრდა და ლექსიკონში ამ მოვლენის სისრულით ასახვა. მაგალითად, ზოგიერთი ტერმინი ინტეგრაციულ ხასიათს იძენს, გამოიყენება მომიჯნავე დისციპლინებში, რასაც, ხშირ შემთხვევაში საგანგებო კვლევა სჭირდება, რათა ლექსიკონის ფარგლებში ტერმინის სისტემურად აღსაწერად დადგინდეს მისი მნიშვნელობა სხვადასხვა დარგობრივ პარადიგმაში და გამოვლინდეს ინვარიანტული კომპონენტი, რითაც რიგითი ნომრებით გამიჯნული მნიშვნელობები ერთმანეთს დაუკავშირდება.

ქართულენოვან საცნობარო ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურასა თუ სახელმძღვანელოებში განმარტებული ტრადიციული ლინგვისტიკური ტერმინები, რომელთა რიცხვი საგრძნობლად გაზრდილია ქველის ახალ რედაქციაში, ჩვენს ლექსიკონშიც დიდ ადგილს დაიკავეს.

ფონეტიკა-ფონოლოგიის ცნებები, მორფოლოგიური და სინტაქსური ტერმინები ძირითადად ტრადიციულად არის განმარტებული, თუმცა მათ გვერდით ლექსიკონში შეტანილია რიგი ერთეულებისა, რომლებიც მორფოლოგია-სინტაქსში სემანტიკურ მიმართულებას ასახავენ, მაგალითად, **აგენსი**, **ადრესატი**, **ბენეფაქტივი** თუ კომუნიკაციურ-სემანტიკური სინტაქსის სხვა ცნება-ტერმინები.

ჩამოვთვლით იმ დარგებსა და მიმართულებებს, რომელთა კვლევისათვის აუცილებელი მინიმუმის შემქმნელი ტერმინ-ლექსემების შეტანასაც ვგეგმავთ ლექსიკონში:

- ენათმეცნიერების საფუძვლების ამსახველი და ენათმეცნიერების თეორიის საკვანძო ტერმინები;
- ლინგვისტიკისტიკური ტერმინოლოგია;
- ტექსტის ლინგვისტიკის ცნებები;
- ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები;
- მეტყველების კულტურისა და რიტორიკის ტერმინები;
- კოგნიტიური ლინგვისტიკის აქტუალური ცნებები;
- პრაგმატიკული პარადიგმის წევრ-ტერმინები;
- ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ცნებები და ტერმინები;
- სემიოტიკა-სემიოლოგიის ფუნდამენტური ცნებები.

ამ დროისათვის განმარტებული გვაქვს 1500-ზე მეტი ერთეული, სიტყვანი ამ რიცხვს აჭარბებს, სამუშაოს დასრულებისთვის ივარაუდება 3 000-ერთეულიანი ლექსიკონის მომზადება. მომხმარებელთა ფართო წრის გათვალისწინებით (მათ შორის, ცხადია, სტუდენტებიც იგულისხმებიან), სალექსიკონო ერთეულებად ვაქციეთ ისეთი ცნება-ტერმინები, რომელთაც, ერთი შეხედვით, განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ საწინააღმდეგოს მოწმობს ლექსიკონის შემდგენელთა სასწავლო გამოცდილება. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს, ესენია: **ანოტაცია**, **პაგინაცია**, **კონტექსტი**, **სინოფსისი**,

რეზიუმე, სლოგანი, კურსივი, რეფერენცია, კორექცია, კორელაცია, ანალოგია, ანაქრონიზმი, ალტერნაცია და სხვ. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის შედეგების გაცნობა და გამოყენება შეუძლებელია ისეთ ცნება-ტერმინთა გარეშე, როგორებიცაა **კონცეპტი, კონტინუუმი, სიმულაკრი, ინტერტექსტი, დისკურსი, სამყაროს ენობრივი სურათი, კოგნიცია, აკულტურაცია, გენდერი, ინვარიანტი, ინტენცია, ეთნოცენტრიზმი, კონტრადიქცია, კონოტაცია, კუმულაცია** და მისთ., რომელთა უმრავლესობა ინტერდისციპლინური ხასიათისაა, თუმცა ყოველი მათგანი თანამედროვე ლინგვისტიკის, ენის ზოგადი თეორიის ფარგლებში ექცევა და აქტუალურობის გამო ჩვენი ლექსიკონის შემადგენელი ხდება.

ახლა ზოგიერთი რამ ლექსიკონის სტრუქტურის შესახებ: სალექსიკონო ერთეულებს წარმოადგენენ ერთსიტყვიანი ცნება-ტერმინები და ორ- ან სამკომპონენტის შესიტყვებები, რომლებიც ანბანზეა დალაგებული და მოცემულია მუქი შრიფტით. ტერმინს მოსდევს ფრჩხილებში ჩასმული ეტიმოლოგიური ინფორმაცია. ჩვენ მიერ შერჩეულ მასალაში ჭარბობს ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის ტერმინები, გვხვდება ინგლისური, ფრანგული და გერმანულიც, რომლებსაც დედან ენაზე აქვთ მიწერილი ამოსავალი ფორმები ქართული თარგმანით. ტერმინთა დეფინიციები განსხვავებული ზომის ტექსტებია იმის მიხედვით, როგორია ტერმინის ცნებითი მოცულობა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ისინი სამ-ოთხ წინადადებას არ აღემატება. რაც შეეხება დამოწმების ზონას სალექსიკონო სტატიაში, ყველა ტერმინი არ მოითხოვს საილუსტრაციო მასალას, საჭიროების შემთხვევაში მაგალითები, კონტექსტები თუ ციტატები მოხმობილია სამეცნიერო, სასწავლო და ლექსიკოგრაფიული ლიტერატურიდან. ციტატები წარმოდგენილია კურსივით და ყოველ მათგანს მოსდევს ავტორის ვინაობა. ლექსიკონის კომპაქტურობიდან გამომდინარე, პერსონალიები დამოუკიდებელ სალექსიკონო ერთეულებად არ შედის, მეცნიერთა გვარები მხოლოდ სალექსიკონო სტატიაში გვხვდება, თუ მათს სახელს რომელიმე ტერმინის ან კვლევის მეთოდის დამკვიდრება უკავშირდება.

ლექსიკონში სინონიმური ტერმინებიც არის. რადგან აქტუალურობის მიხედვით რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება ჭირს, სალექსიკონო ერთეულად შეტანილია ორივე და თითოეული მეორის სალექსიკონო სტატიაში იმეზნება საგანგებო მითითებით

„იგივეა, რაც“. მსგავს ტერმინთან გადასამისამართებლად გამოყენებულია მითითება „იხ. აგრეთვე“. ტერმინოლოგიური დუბლეტების შემთხვევაში ერთი სალექსიკონო ერთეულია, მეორე კი იწყებს განმარტების ტექსტს. ტერმინოლოგიური ომონიმების წარმოსადგენად მივმართავთ რომაული ციფრებით ინდექსაციას.

ლინგვისტიკის მეტაენის აქტუალურ ერთეულთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ამ ზრდას განაპირობებს ახალ მიმართულებათა და მომიჯნავე დისციპლინათა გაჩენა. თუ გარკვეულ რაოდენობრივ შემოსაზღვრას არ დავემორჩილეთ, მაშინ შეუძლებელი იქნება იმ მიზნის განხორციელება, რასაც ჩვენი განყოფილება ისახავს, ამდენად, მუშაობა კვლავ გაგრძელდება დახასიათებული მიმართულებით. ივარაუდება ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის შექმნაც, რომელიც, პოლიგრაფიული 3000-ერთეულიანი გამოცემისაგან განსხვავებით, მუდმივად შეივსება ლინგვისტიკური საინფორმაციო სივრცის გაფართოების შესაბამისად.

Salome Omiadze

On the Dictionary of Topical Linguistic Concepts and Terms

Summary

In the century of outpouring information perception and transferral of a huge part of this information is impossible without concepts and terms. An important part of the general information space is scientific information. Linguistics has an irreplaceable role in its structuring and distribution that, in turn, proves the necessity of studying and systematizing linguistic concepts and terms not only for linguists and interested people. It is the second year since the department of general linguistics has started working in this direction and the paper represents the interim results of on-going work.

At this time we have defined more than 1500 lexical units and we suppose that we will have compiled a dictionary consisting of 3000 entries

by the end of the work. We list the fields and directions the minimum necessary of the terms and lexemes for the research of which we plan to include in the dictionary:

- Key terms of linguistic basics and the theory of linguistics;
- Linguo-stylistic terminology;
- Concepts of text linguistic;
- Terms of literary studies;
- Terms of speech culture and rhetoric;
- Topical concepts of cognitive linguistics;
- Member-terms of pragmatic paradigm;
- Concepts and terms of psycholinguistics, sociolinguistics and linguoculturology;
- Fundamental concepts of semiotics and semiology.

The electronic version of the dictionary will be created that, in contrast to the printed edition consisting of 3000 lexical units, will be constantly filled in accordance with the extension of the linguistic information space.